

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოკლულ ქალთა
ოჯახის წევრების დანაკლისის ტრავმასთან გამკლავება

ანა ნინუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

1.2 განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ნინუა

25.06.2019

1.3 აბსტრაქტი

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ 27 წელი გავიდა, თუმცა აღნიშნული მოვლენით გამოწვეული დანაკლისი დღემდე უარყოფითად აისახება მასში სხვადასხვა სახით მონაწილე ადამიანების ფსიქიკაზე. სწორედ ამიტომ, ეს საკითხი არ კარგავს აქტუალობას და აფხაზეთის ომში დაზარალებულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვანი საკვლევია საკითხია თანამედროვე მკვლევართათვის. ჯემალ გამახარიას წიგნის „აფხაზეთი/საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა“, და ასევე, მთელ რიგ სხვა საინფორმაციო წყაროებსა და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ სულ კონფლიქტის დროს დაიღუპა 5025 ადამიანი საქართველოს მხრიდან. მათგან 1301 ქალი და 3724 მამაკაცი. 2000-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

საზოგადოება შედარებით მეტად არის ინფორმირებული ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაღუპული მამაკაცების თაობაზე, მაშინ როცა ინფორმაცია დაღუპულ ქალებზე ერთგვარად ტაბუირებულია. მათზე არ საუბრობს არა თუ საზოგადოება, არამედ თავად დაღუპული ქალების ოჯახები. ამგვარი ტაბუს გამო, ომში გარდაცვლილი ქალებისა და მათი ოჯახების შესახებ ფაქტები ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

ახლახანს ჟურნალისტებმა თიკო ცომიამ და ია შალამბერიძემ დაიწყეს ამ საკითხის შესწავლა და არსებული ტაბუს დამღვევის პროცესი. კერძოდ, ისინი ახორციელებენ პროექტს „ფემიციდი - ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი“. პროექტის ფარგლებშიც შეისწავლეს დაღუპულ ქალთა ისტორიები და გამოაქვეყნეს ამისათვის სპეციალურად შექმნილ ვებ გვერდზე (<http://femicide.ge/geo/list/show/150-femitsidi-saqartveloshi-EHRAC-ma-da-partnior-organizatsiebtan-ertad-sakhelmtsifos-pasukhismgeblobis-sakitkhi-daakena>). სწორედ ამ პროექტის გაცნობის შედეგად დავინტერესდი ჩემი კვლევის თემით.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური შეიარაღებული

კონფლიქტის დროს გარდაცვლილი ქალების ოჯახის წევრების დანაკლისის ტრავმასთან გამკლავებისა და ადაპტაციისუნარიანობის (Resilience) სტრატეგიების შესწავლას.

კვლევა აქტუალურია, რადგან მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ამ ფარული პოპულაციის (ოჯახები, რომელთაც ოჯახის წევრი ქალი მოუკლეს) ფსიქოსოციალური საჭიროებების გაცნობიერებას და შესაბამისად - დახმარების სტრატეგიების დაგეგმვასა და ცხოვრებაში გატარებას. ეს შეიტანს წვლილს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაბამისად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს, კონფლიქტის დროს გარდაცვლილი ქალების შვილებმა. მონაწილეობისათვის აუცილებელი კრიტერიუმი იყო მათი თანხმობა. რამდენადაც თემა ჯერ კიდევ ტაბუირებულია, რთული იყო რესპონდენტების როგორც მონახვა, ასევე კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმება. ამდენად, ინტერვიუ ჩატარდა სულ 5 ადამიანთან. მათგან 4 ქალი იყო და 1 კაცი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა დანაკლისის ტრავმის შემდგომი ადაპტაციისუნარიანობის შემდეგი სტრატეგიები: სოციალური გარემოს მხარდაჭერის მიღება და ამ მხარდაჭერის გამოყენება, შვილების განათლებაში ინვესტირება, განათლების მიღება (სწავლის გაგრძელება), რწმენა (რელიგიური ცხოვრება), სხვების დახმარება, სოციუმთან მჭირდრო კონტაქტი - ინტეგრირება სოციუმში, არტი და გამოცილდების სიმზობოლიზება.

კვლევამ აჩვენა, რომ დანაკლისის ტრავმის მქონე ამ 5 რესპონდენტს, დანაკლისის ტრავმული გამოცდილება, სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორების გამო (დევნილობა, საცხოვრებელის დაკარგვა, დედის გარდაცვალებასთან ერთად მამის დაკარგვაც), ბოლომდე დაძლეული არ აქვთ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კვლევის აქტუალობას, რადგან ავლენს ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე კიდევ ერთ იგნორირებულ ჯგუფს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დანაკლისის ტრავმა, ადაპტაციისუნარიანობა (resilience), დანაკლისთან გამკლავება, გლოვა.

Abstract

27 years passed since beginning of the Georgian-Abkhazian armed conflict, however, multiple losses caused by it still have a negative impact on the mental health and life quality of the conflict-affected people. That is why it is relevant to study mental health problems of the conflict-affected individuals and families. According to the Jemal Gamakharia's book „Georgia /Abkhazia, History, Politic, Culture” also to different News sources and testimonies of witnesses, in total, 5025 people were killed during the Georgian Abkhaz conflict, Out of them - 1301 women and 3724 men; more than 2000 is still missing.

The Georgian society is relatively informed about men who were killed during the conflict, while information about killed women is taboo. Not only society, even their family members don't speak about this. The issue has not yet been studied.

The two Georgian journalists Tiko Tsomaia and Ia Shalamberidze, within the frame of the project "Femicide - Monitoring of Violence Against Women", collected stories of women who were killed during the conflict, and uploaded these stories to the specially created website.

After being acquainted with the web site of the "Femicide - Monitoring of Violence Against Women" project, I became interested in the implementation of this study, which explores resilience strategies of the family members of women who were killed during the Georgian-Abkhaz armed conflict. For this purpose, a round of in-depth interviews were conducted with the family members (second generation representatives) of the killed women, 5 persons in total – 4 daughters and one son of the killed women.

The study findings will contribute to the better understanding of mental health and psychosocial needs of family members of the killed women, which will contribute to the planning of mental health services for this hidden population in need.

Key words : trauma of loss, resilience, mourning

1.4 მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს, მხარდაჭერისთვის, დროული უკუკავშირისა და გაწეული დახმარებისათვის.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჟურნალისტებს ია შალამბერიძესა და თიკო ცომიას, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის. კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა მონაწილეთა ჩართულობის გარეშე. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ნდობისა და საკუთარი ისტორიების გაზიარებისათვის. ასევე, მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებს მარიამ წირღვავასა და რუსუდან აბულაძეს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.